

ვახტანგ როდონაია  
ნინო ნაკუდაშვილი

ავთანდილ არაბული  
მარინე ხუციშვილი

# ქართული ენა და ლიტერატურა

## VIII

### მასწავლებლის წიგნი

გრიფი მიენიჭა 2012 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების  
სამინისტროს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის მიერ (ბრძანება №375; 18.05.2012)

„სწავლანი“ — 2012

© „სწავლანი“, 2012

ISBN 978-9941-9271-4-0

## შ ი ნ ა ა რ ს ი

სახელმძღვანელოს დანიშნულება და სტრუქტურა .....	5
VIII კლასის ეროვნული სასწავლო გეგმა ქართულ ენასა და ლიტერატურაში .....	8
სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან — შინაარისა და მიზნების რუკა .....	23
სასწავლო მასალის წარდგენის ფაზები და გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები.....	33
სანიმუშო გაკვეთილის სცენარი .....	34
შეფასების სისტემა, ფორმები, რეკომენდაციები შეფასებისათვის .....	37
საჭირო რესურსები .....	44



## სახელმძღვანელოს დანიშნულება და სტრუქტურა

VIII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო შექმნილია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლებისთვისაა განკუთვნილი. სახელმძღვანელო შედგება 20 პარაგრაფისაგან, რომლებშიც გაერთიანებულია სხვადასხვა ჟანრისა და თემატიკის შემცველი მხატვრული და არამხატვრული ტექსტები. პარაგრაფის სათაური სწორედ მასში წარმოდგენილი ძირითადი ტექსტის ჟანრზე ან თემატიკაზე მითითებას შეიცავს.

ჩვენს სახელმძღვანელოში ყოველ ტექსტს თან ახლავს ენობრივი სავარჯიშოები, რომელშიც განხილულია ის ლექსიკური, გრამატიკული და სტილისტური საკითხები (მართლწერის საკითხებთან ერთად), რომელთა გაშუქებასაც ხელს უწყობს შესასწავლი ტექსტი. ეს საკითხები მეორდება პარაგრაფიდან პარაგრაფში და ენობრივი სავარჯიშოების შესრულებისა და ტექსტების დამუშავების კვალდაკვალ მოსწავლეს უვითარდება ენის გრძნობა, სწორი, გამართული ზეპირი და წერიტი მეტყველების უნარი. ეს არის ენის ათვისების ბუნებრივი გზა. სახელმძღვანელო გვთავაზობს ენის პრაქტიკულ შესწავლას ენობრივი სავარჯიშოების შესრულების გზით.

გარდა ამისა, სახელმძღვანელოს თან ერთვის ენობრივი სავარჯიშოების რვეული, რომელიც განკუთვნილია გრამატიკის სისტემური კურსის (კერძოდ, ქართული ენის სინტაქსთან დაკავშირებული საკითხების) შესასწავლად.

სახელმძღვანელო ინტერაქტიური სწავლების პრინციპზეა აგებული. მასში დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა მოტივაციას. თითოეული პარაგრაფის სტრუქტურა ხელს

უნყოფს მოსწავლეთა მიყვანას ცოდნამდე აღმოჩენის გზით. პარაგრაფები სასწავლო პროცესის სპეციფიკის გათვალისწინებით სამ არათანაბარ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი ერთგვარი შემამზადებელი ფუნქციით არის აღჭურვილი და მას პირობითად შეიძლება ვუწოდოთ: „ტექსტის ნაკითხვამდე“ (ეს ნაწილი მოიცავს: პარაგრაფის მიზანს, სამოტივაციო კითხვარს და ლექსიკონს).

პარაგრაფის მიზანი მასწავლებელმა ხმამაღლა უნდა წაიკითხოს კლასში; შემდეგ დასვას სამოტივაციო კითხვები. კითხვებზე პასუხების გაცემის შემდეგ მოსწავლეები იწყებენ ლექსიკონზე მუშაობას. კერძოდ, მათ ეძლევათ დავალება, გადაიკითხონ სიტყვათა განმარტებები, სახლში კი (სპეციალურად განკუთვნილ რვეულში) ამოიწერონ ის სიტყვები, რომლებიც პირველად გაიგეს. ასე შეეჩვევიან მოსწავლეები ლექსიკონის გამდიდრებაზე მუშაობას და წლის ბოლოს სოლიდური ლექსიკური მარაგი დაუგროვდებათ.

ამის შემდეგ იწყება ტექსტის კითხვა. რთული ტექსტი (მაგალითად, ზ. ჭუმბურიძის „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“) და პოეტური ნაწარმოებები, სასურველია, მასწავლებელმა დასაწყისში თავად წაიკითხოს ხმამაღლა. შედარებით იოლი ტექსტები კი მოსწავლეებმა უნდა წაიკითხონ ჩუმად (ინდივიდუალურად) ან წყვილებში (მასწავლებელი ამ დროს დადის მერხებს შორის და აკვირდება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს კითხვის პროცესში). ტექსტის ნაკითხვის შემდეგ მასწავლებელი ამოწმებს ტექსტის გაგებას თანდართული კითხვარის მეშვეობით. აქედან იწყება პარაგრაფის მესამე ნაწილი: „ტექსტის ნაკითხვის შემდეგ“. ტექსტის გაგებაზე ორიენტირებულ კითხვარს მოსდევს სავარჯიშოები და რუბრიკები: „ეს საინტერესოა!“ „დაიმახსოვრეთ“; ჩარჩოშია ჩასმული

ცნებათა განმარტებები და სხვადასხვა თეორიული სახის ინფორმაცია (მაგ., „რა არის ინტონაცია და როგორ გამოიხატება იგი“; „როგორ ვიკითხოთ ლექსი სასვენ ნიმუშებზე დაყრდნობით“ და სხვ.).

ენობრივი სავარჯიშოები წარმოდგენილია შემდეგი რუბრიკებით: „ლექსიკა და ფრაზეოლოგია“, „გრამატიკა“, „სინტაქსი“, „პუნქტუაცია“, „მართლწერა“.

პარაგრაფს აგვირგვინებს ძირითადად საშინაო დავალებად განკუთვნილი წერიტი სამუშაო, რომელსაც ზოგჯერ საკმაოდ ვრცელი ინსტრუქცია ახლავს. ამ ინსტრუქციის დანიშნულებაა, გაუადვილოს მოსწავლეს საშინაო დავალების შესრულება. მასწავლებელს კი შეუძლია ამ ინსტრუქციაზე დაყრდნობით შეიმუშავოს საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმები.

## VIII კლასის ეროვნული სასწავლო გეგმა

### ქართულ ენასა და ლიტერატურაში

#### წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მიმართულება:		
ზეპირმეტყველება	კითხვა	წერა
<p><b>ქართ. VIII. 1.</b> მოსწავლეს შეუძლია კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობის მოსმენა და საკუთარი თვალსაზრისის წარმოდგენა აუდიტორიის წინაშე.</p> <p><b>ქართ. VIII. 2.</b> მოსწავლეს შეუძლია ორატორის გამოსვლის მოსმენა და მისი შეფასება საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.</p> <p><b>ქართ. VIII. 3.</b> მოსწავლეს შეუძლია მსჯელობის ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა და გამოყენება.</p> <p><b>ქართ. VIII. 4.</b> მოსწავლეს შეუძლია ზეპირი გამოსვლის მოსამზადებლად სტრატეგიების არჩევა და გამოყენება.</p>	<p><b>ქართ. VIII. 5.</b> მოსწავლეს შეუძლია გაიანალიზოს, გააანალიზოს და შეაფასოს ტექსტები (მხატვრული და არამხატვრული), რომლებიც შეიცავენ გარკვეულ თვალსაზრისს ან მსჯელობას კონკრეტულ საკითხებზე.</p> <p><b>ქართ. VIII. 6.</b> მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს ტექსტის შესაბამისობა კონკრეტულ მიზანსა და აუდიტორიასთან.</p> <p><b>ქართ. VIII. 7.</b> მოსწავლეს შეუძლია ნაწარმოების მნიშვნელოვანი ასპექტების გაანალიზება.</p> <p><b>ქართ. VIII. 8.</b> მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ხერხებისა და ენობრივი მახასიათებლების ცოდნის გამოყენება ტექსტების გასაანალიზებლად.</p> <p><b>ქართ. VIII. 9.</b> მოსწავლეს შეუძლია კითხვის მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.</p>	<p><b>ქართ. VIII. 10.</b> მოსწავლეს შეუძლია წერილობით გადმოსცეს საკუთარი თვალსაზრისი, იმსჯელოს კონკრეტულ საკითხზე სათანადო არგუმენტების მოხმობით.</p> <p><b>ქართ. VIII. 11.</b> მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ფორმისა და სტილის შერჩევა მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.</p> <p><b>ქართ. VIII. 12.</b> მოსწავლეს შეუძლია ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურებისა და ხერხების მართებულად გამოყენება სხვადასხვა სახის ტექსტების შესაქმნელად.</p> <p><b>ქართ. VIII. 13.</b> მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ეფექტური ორგანიზებისათვის.</p>



ნლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: **ზეპირმეტყველება**

**ქართ. VIII. 1. მოსწავლეს შეუძლია კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობის მოსმენა და საკუთარი თვალსაზრისის წარმოდგენა აუდიტორიის წინაშე.**

**შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**

- სვამს კონკრეტულ საკითხს (კონკრეტული საკითხი ლიტერატურული ნაწარმოებიდან, რაიმე მნიშვნელოვანი რეალური ყოფითი ფაქტის განხილვა, ისტორიული მოვლენის შეფასება და ა. შ.) და ისმენს სხვების აზრს ამ საკითხთან დაკავშირებით;
- მსჯელობს სათანადო არგუმენტაციის მოხმობით და თანამიმდევრულად ავითარებს თავის მოსაზრებას;
- მსჯელობიდან გამოაქვს ადეკვატური დასკვნა;
- საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად იყენებს ციტატებს საინფორმაციო წყაროებიდან, სხვადასხვა ფაქტს, სტატისტიკურ მონაცემებს, ფრაგმენტებს ინტერვიუდან და ა. შ.;
- ტექსტში დასმულ პრობლემურ საკითხს იმიტირებულ სიტუაციის (მინისპექტაკლის, როლური თამაშების და ა. შ.) საშუალებით წარუდგენს აუდიტორიას (კლასს);
- კონკრეტული აუდიტორიისათვის შეარჩევს ტექსტის შესაბამის ტიპს (მაგ. როლურ ტექსტს, თხრობას, კამათს და ა. შ.);
- ისმენს / თვითონ სთავაზობს აუდიტორიას საკითხის გადაჭრის ალტერნატიულ ვარიანტებს; გამოკვეთს საკუთარ თვალსაზრისსა და არგუმენტებს.

**ქართ. VIII. 2. მოსწავლეს შეუძლია ორატორის გამოსვლის მოსმენა და მისი შეფასება საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ისმენს და კრიტიკულად აფასებს, რამდენად შეესაბამება სხვების მიერ გამოყენებული ენობრივ-სტილური საშუალებები მსჯელობისას გადმოცემულ შეფასებებს, დამოკიდებულებებსა და დასკვნებს;
- ლექსიკის, ფრაზეოლოგიზმების, სინტაქსური კონსტრუქციისა თუ სხვა ენობრივი ნიშნების მიხედვით ამოიცნობს, თუ რომელი აუდიტორიისათვის არის გამოსვლა გამიზნული;
- აფასებს, რამდენად შეესაბამება მოსაუბრის მიერ გამოყენებული ენობრივი საშუალებები საუბრის თემას, მიზანსა და აუდიტორიას;
- ასახელებს გამონათვის თვალსაზრისით ყველაზე ეფექტურ და სუსტ ადგილებს საუბრიდან (სად იყო თხრობა საინტერესო, შთამბეჭდავი, მონოტონური, მოსაწყენი, რა ვერბალური თუ არავერბალური საშუალებებით მიიღწეოდა ეფექტი).

**ქართ. VIII. 3. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობის ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა და გამოყენება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს და იყენებს ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელ ძირითად ენობრივ საშუალებებს (მაგალითად, თვალსაზრისისა და არგუმენტის გამოსაკვეთად იყენებს არავერბალურ საშუალებებს: ინ-

ტერვალს საუბარში, ინტონაციას, ხმის სხვადასხვა დონეებს, ჟესტიკულაციას და ა. შ.);

- მოსმენით განასხვავებს და ადეკვატურად იყენებს ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელ ენობრივ-გრამატიკულ ფორმებს (სუბიექტური დამოკიდებულების გამომხატველ ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს: ჩართულს, დანართს, განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებს და სხვ.);
- ამოიცნობს და იყენებს მსჯელობისთვის დამახასიათებელი ფუნქციური სტილის ენობრივ მახასიათებლებს (ნომინალურ წინადადებებს, პირობით-შედეგობით კონსტრუქციებს და სხვ.);
- ამოიცნობს და იყენებს რიტორიკულ ფიგურებს (მაგ., რიტორიკულ შეკითხვას, რიტორიკულ შეძახილს, გამეორებას, პაუზას და სხვ.), რომლებიც ეფექტურად გამოხატავენ მსჯელობის მიზანს (არგუმენტების გამოყენებით ამა თუ იმ პიროვნების შექება / გაკიცხვა, კონკრეტული მოვლენის გამართლება / უარყოფითად შეფასება და ა. შ.);
- განარჩევს და სათანადოდ იყენებს საკუთარ მეტყველებაში გამოთქმებს, რომელთაც განსაკუთრებული დამარწმუნებელი ძალა აქვს (მაგ., იდიომებს, ხატოვან გამონათქვამებს, რიტორიკულ ფიგურებს, სახესიმბოლოებს და ა. შ.).

**ქართ. VIII. 4. მოსწავლეს შეუძლია ზეპირი გამოსვლის მოსამზადებლად სტრატეგიების არჩევა და გამოყენება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ისმენს სასაუბრო ტექსტებს (მაგალითად, მონვეუ-

ლი პიროვნებების მეტყველებას, საინფორმაციო თუ სარეკლამო ტექსტს) და ამოიცნობს იმ დამარწმუნებელ საშუალებებს (მაგალითად, არგუმენტაციის სიძლიერეს, სათანადო მაგალითებს, ლირიკულ გადახვევას, ფიგურალურ გამონათქვამებს, ემოციურ ფონს და სხვ.), რომლებიც განსაკუთრებულ ზემოქმედებას ახდენს აუდიტორიაზე;

- ამოიცნობს და მეტყველებისას იყენებს იმგვარ მინიშნებებს, როგორებიცაა ტონის ცვალებადობა, ხმის სიმაღლე (ხმის აწევ-დაწევა), ან საუბრის სიჩქარე, რათა მოამზადოს აუდიტორია ახალი და მნიშვნელოვანი აზრის გასაცნობად;
- აუდიტორიის წინაშე გამოსვლამდე წინასწარ ამზადებს და სათანადო სიტუაციებში იყენებს დამხმარე (ვიზუალურ, ელექტრონულ, მუსიკალურ და ა. შ.) მასალას;
- აუდიტორიის გათვალისწინებით მოამზადებს კონკრეტულ ტექსტს და მსმენელთა ყურადღების მისაპყრობად იყენებს სხვადასხვა ხერხს (მაგ. იუმორს, ანექდოტებს, სტატისტიკურ მონაცემებს, ემოციურ მეტყველებას და სხვ.).

მიმართულება: კითხვა

**ქართ. VIII. 5. მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს, გააანალიზოს და შეაფასოს ტექსტები (მხატვრული და არამხატვრული), რომლებიც შეიცავს გარკვეულ თვალსაზრისს ან მსჯელობას კონკრეტულ საკითხზე.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- დანვრილებით შეისწავლის ტექსტის შინაარსს, ყუ-

რადღებას ამახვილებს დეტალებზე და მათზე დაყრდნობით ახსნის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს;

- ანალიზებს და კონკრეტული ნიშნის მიხედვით, სისტემურად ახდენს ტექსტში მოცემულ ინფორმაციის კლასიფიკაცია-კატეგორიზაციას;
- ამოიცნობს და განსაზღვრავს პრობლემურ საკითხებს წაკითხულ ტექსტში;
- არკვევს ტექსტში დასმული პრობლემის გამომწვევ მიზეზებს;
- პოულობს სადისკუსიო პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ ვარიანტებს;
- მოიძიებს არგუმენტებს სადავო საკითხის გადაწყვეტის თითოეული ვარიანტის მხარდასაჭერად;
- საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით (მაგ. ადრე წაკითხული ტექსტები, ნანახი ფილმები და ა.შ.) განიხილავს ტექსტში წამოჭრილ საკვანძო საკითხს;
- პოულობს მსგავსებებსა და განსხვავებებს სხვადასხვა ავტორის მიერ შექმნილ ისეთ ტექსტებში, რომლებიც შეიცავს ერთსა და იმავე ან მსგავს პრობლემას;
- გაიხსენებს და საკუთარი პოზიციის გასამყარებლად იყენებს ტექსტში წამოჭრილი პრობლემის თაობაზე გამოთქმულ განსხვავებულ მოსაზრებებს;
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ტექსტში ასახული ზნეობრივ-ეთიკური პრობლემების მიმართ.

**ქართ. VIII. 6. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს ტექსტის შესაბამისობა კონკრეტულ მიზანსა და აუდიტორიასთან.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს, რამდენად შეესაბამება ტექსტის სტრუქტურა მიზანს;

- მსჯელობს, რა საშუალებებით ახდენს გავლენას ავტორი კონკრეტულ აუდიტორიაზე და როგორ ქმნის განწყობას;
- ამოიცნობს ავტორისეულ მიზანს და მისი გათვალისწინებით მსჯელობს პერსონაჟთა დახასიათების ხერხებზე;
- მსჯელობს, რამდენად შეესაბამება ტექსტის დიზაინი მიზანსა და აუდიტორიას (ილუსტრაციისა და ტექსტის მიმართება, შრიფტის ზომა და სახესხვაობა და სხვ.);
- მსჯელობს იმაზე, თუ რამდენად უწყობს ხელს სხვადასხვა მხატვრული დეტალი ძირითადი იდეის წარმოჩენას.

**ქართ. VIII. 7. მოსწავლეს შეუძლია ნაწარმოების მნიშვნელოვანი ასპექტების გაანალიზება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მიმოიხილავს ნაწარმოებში აღწერილ ადგილს, დროს, ახასიათებს სოციალურ-კულტურულ გარემოს;
- აკავშირებს ამ ფაქტორებს ნაწარმოების შინაარსთან;
- საუბრობს, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ნაწარმოების შინაარსი კონტექსტური (დრო-სივრცული) ფაქტორების ცვლილებამ;
- ხსნის, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს მკითხველის ინტერპრეტაცია კონტექსტური ფაქტორების ცვლილებამ;
- საუბრობს იმაზე, თუ როგორ მოქმედებს კონტექსტური ფაქტორები პრობლემის არსის გაგებასა და მისი გადაჭრის გზებზე.

**ქართ. VIII. 8. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ხერხებისა და ენობრივი მახასიათებლების ცოდნის გამოყენება ტექსტების გასაანალიზებლად.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს მხატვრულ ხერხებს, რომლებიც ტექსტს ანიჭებს ესთეტიკურ მიმზიდველობას (მაგ. ჰიპერბოლას, სახე-სიმბოლოებს, ალეგორიას, მეტაფორას და სხვ.) და ხსნის მათს დანიშნულებას;
- შეაფასებს მხატვრულ სახეებს და გაიაზრებს მათს როლს ნაწარმოების შესაძლო ინტერპრეტაციაში;
- ამოიცნობს და აღწერს ზოგიერთ ტექნიკურ ხერხს, რომელიც გამოყენებულია გარკვეული განწყობის შესაქმნელად (მაგალითად, ტექსტის დიზაინს: დიალოგებისა და მონოლოგების მონაცვლეობა, ტექსტის თავებად და აბზაცებად დაყოფა; ნაწილების დასათაურება და ა. შ.);
- ამოიცნობს ავტორის მიერ მიზნობრივად გამოყენებულ სპეციფიკურ ლექსიკას (არქაიზმებს, დიალექტურ ფორმებს, ჟარგონს, ნეოლოგიზმებს, ბარბარიზმებს და სხვ.).

**ქართ. VIII. 9. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხელახლა უბრუნდება გაუგებარ ადგილებს;
- მონიშნავს ტექსტში ინტერპრეტაციისთვის მნიშვნელოვან ადგილებს;
- იყენებს მარკირების საკუთარ სისტემას (მაგალითად, ტექსტის არშიაზე პირობით ნიშნებს, მარკერს);

- მონიშნავს უცნობ და ძნელად აღსაქმელ ლექსიკურ ერთეულებს და ტექსტის არშიაზე აკეთებს განმარტებებს, მინიშნებებს, კომენტარებს;
- აზუსტებს ტექსტებში მოწოდებული ინფორმაციის სანდოობას (გადაამოწმებს ინფორმაციას ენციკლოპედიაში, ლექსიკონებში);
- იყენებს საკითხების ჩამონათვალის ფორმით შედგენილ რეზიუმეს და გრაფიკულ ცხრილებს მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და იდეების გამოსაკვეთად.

მიმართულება: **წერა**

**ქართ. VIII. 10. მოსწავლეს შეუძლია წერილობით გადმოსცეს საკუთარი თვალსაზრისი, იმსჯელოს კონკრეტულ საკითხზე სათანადო არგუმენტების მოხმობით.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- პრობლემური საკითხის შესახებ წერს ნარკვევს, საგაზეთო სტატიას, მარტივ პროექტს, ახსნა-განმარტებითი ხასიათის ტექსტსა და ანგარიშს;
- ფაქტებზე, სტატისტიკურ მონაცემებზე, სხვადასხვა წყაროზე (ენციკლოპედია, ლექსიკონები, ბეჭდვითი და ელექტრონული საინფორმაციო საშუალებები) დაყრდნობით განსაზღვრავს პრობლემას, წერილობით აყალიბებს მოსაზრებას, შეარჩევს ამ მოსაზრების განმამტკიცებელ არგუმენტებს;
- უარყოფს ან ეთანხმება საგაზეთო პუბლიკაციაში გამოთქმულ მოსაზრებას და ასაბუთებს საკუთარ პოზიციას;
- პრობლემური თემის შესახებ თხზავს მხატვრულ



ტექსტებს: ჩანახატს, სცენარს როლური თამაშებისათვის, მცირე ზომის მოთხრობას;

- გამოხატავს და წერილობით აყალიბებს პირად განცდებსა და განწყობაზე დამყარებულ შთაბეჭდილებას;
- ცხოვრებისეულ და ლიტერატურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით აყალიბებს საკუთარ შეხედულებას კონკრეტულ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით.

**ქართ. VIII. 11. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ფორმისა და სტილის შერჩევა მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს და თავადაც იყენებს საშუალებებს (მაგალითად, მწერლის, საზოგადო მოღვაწის გამონათქვამების/მოსაზრებების დამონმება, მიმართვის ან ემოციის გამოხატვის ფორმები და სხვ.), რომლებიც შეესაბამება სხვადასხვაგვარ აუდიტორიასა და მიზნებს;
- აუდიტორიის ასაკისა და ცოდნის დონის გათვალისწინებით აფორმებს ტექსტს;
- წერს კონკრეტულ პრობლემაზე სხვადასხვა პოზიციიდან და სხვადასხვა აუდიტორიისათვის (მაგალითად, სკოლაში არსებული პრობლემური სიტუაციის შესახებ წერს მშობლის, თავად მოსწავლის, დირექტორის და ა. შ. პოზიციიდან);
- წარმოადგენს პრობლემური საკითხის შესახებ ინფორმაციას სხვადასხვა მიზნით (დარწმუნების, თანაგრძნობის გამონვევის მოტივით და სხვ.).

**ქართ. VIII. 12. მოსწავლეს შეუძლია ენობრივ-გრამატიკული სტრუქტურებისა და ხერხების მართებულად გამოყენება სხვადასხვა სახის ტექსტების შესაქმნელად.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სწორად ხმარობს ზმნის დრო-კილოთა და ქცევის ფორმებს;
- იცავს პუნქტუაციისა და მართლწერის სალიტერატურო ნორმებს;
- მართებულად ჩაანაცვლებს დამოკიდებულ წინადადებებს ინფორმაციის დამაზუსტებელი განკერძოებული სიტყვებითა და გამოთქმებით (მაგალითად, „ჩემი ძმა, რომელიც თორმეტი წლისაა„...„ ჩემი ძმა, თორმეტი წლის ბიჭი„...);
- მართებულად იყენებს მსჯელობისა და არგუმენტაციისთვის შესაფერის ლექსიკასა და სინტაქსურ კონსტრუქციებს („თუ... მაშინ...„ „აქედან გამომდინარე...„ „ამრიგად...„ „მაშასადამე...„ „რასაც ადასტურებს...„);
- მიმოხილვითი ხასიათის ტექსტის შექმნისას იყენებს შესაბამის ენობრივ-გრამატიკულ სტრუქტურებსა და ხერხებს.

**ქართ. VIII. 13. მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ეფექტური ორგანიზებისათვის.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ირჩევს ტექსტის თემატიკას, ტიპს და შეადგენს გეგმას სპეციფიკური მიზნებისა და აუდიტორიის მოთხოვნების გათვალისწინებით;

- შეარჩევს მასალას და აჯგუფებს გეგმის შესაბამისად;
- შეაქვს ტექსტში შინაარსობრივი და სტრუქტურული ხასიათის შესწორებები, რათა იგი იყოს მკაფიო, ლოგიკური და თანამიმდევრული;
- ასწორებს ნაწერში ორთოგრაფიულ, პუნქტუაციურ და გრამატიკულ შეცდომებს; იყენებს ორთოგრაფიულ და უცხო სიტყვათა ლექსიკონებს;
- მსჯელობისას საკუთარი თვალსაზრისის დასასაბუთებლად იყენებს მასალას (ციტატებს სხვადასხვა წყაროდან, ცხრილებს, ფოტოებსა და ხელოვნების ნიმუშების რეპროდუქციებს);
- იყენებს კომპიუტერულ ტექნოლოგიას ტექსტების შესადგენად, დასაფორმატებლად და პრეზენტაციის მოსამზადებლად.

## საბაზო საფეხურის (VII-IX კლასების) სავალდებულო ლიტერატურა

(ქვემოთ წარმოდგენილი ჩამონათვალი შეადგენს საბაზო საფეხურისათვის განკუთვნილი მთლიანი შინაარსის 60 პროცენტს)

1. ლეონტი მროველი - „ცხოვრებაი და მოქალაქეობაი ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარის ნინოსი“: მირიანის ნადირობა და მზის დაბნელება;
2. იოანე მინჩხი - „ჰიმნი“ (უამნი ჩუენნი, ვითარცა სიზმარნი...);
3. არსენ იყალთოელი - „დავით აღმაშენებლის ეპიტაფია“ (ვის ნაჭარმაგევს მეფენი...);
4. შოთა რუსთაველი - „ვეფხისტყაოსანი“: „ანდერძი ავთანდილისა“; „თათბირი ნურადინ ფრიდონისა“, „თათბირი ავთანდილისა“, „თათბირი ტარიელისა“.

5. სულხან-საბა ორბელიანი - „ნიგნი სიბრძნე სიცრუისა“: იგავ-არაკები: „მოცინარი და მოტირალი“, „უნაღვლოთა მძებნელი“, „კაცი და გველი“, „კეისრის მაგისტროსი“; „მოგზაურობა ევროპაში“ (მითითებული სახით);
6. დავით გურამიშვილი - „დავითიანი“: „სწავლა მოსწავლეთა“ (მითითებული სახით); „ქართლის ჭირი“ (ლექთაგან დატყვევება; სიზმარი ტყვეობასა შინა; ტყვეობიდან გაპარვა); „დინარი“ (ვაქოთ, ვადიდოთ ვინაო...);
7. მზეჭაბუკ ორბელიანი - „სიტყვა, თქმული დარბაზში საქართველოს გაერთიანების თაობაზე“;
8. ბესიკ გაბაშვილი - „ტანო ტატანო“;
9. გრიგოლ ორბელიანი - „სადღეგრძელო“: „ჰე, მამულო...“;
10. ნიკოლოზ ბარათაშვილი - „ბედი ქართლისა“, „ცისა ფერს“, „საყურე“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „არ უკიჟინო, სატრფოო“, „სული ობოლი“, „წერილი მაიკო ორბელიანისადმი“ (მითითებული სახით).
11. ილია ჭავჭავაძე - „აჩრდილი“ („მარად და ყველგან...“, „მაგრამ ქართველნო...“, „დედავ ღვთისაო...“), „ქართველის დედას“, „ბაზალეთის ტბა“, „ჩემო კალამო“, „სარჩობელაზედ“, „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“ (მითითებული სახით); „სიტყვა ნინამძღვრიანთკარის სკოლის გახსნაზე“ (მითითებული სახით); „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“ (მითითებული სახით); „ერი და ისტორია“ (მითითებული სახით);
12. აკაკი წერეთელი - „ხატის წინ“, „განთიადი“, „სულიკო“, „თორნიკე ერისთავი“, „ბაში-აჩუკი“;
13. ვაჟა-ფშაველა - „ჩემი ვედრება“, „იას უთხარით ტურფასა“, „სამეფოს სიმღერა“ (ქალო, გნახე ფეხშიშველი...), „დამსეტყვე, ცაო“, „კაი ყმა“, „ამოდის, ნათდება“, „ენა“ (მითითებული სახით); „ნიჭიერი მწერალი“ (მითითებული სახით);
14. იაკობ გოგებაშვილი - „ბურჯი ეროვნებისა“ (მითითებული სახით), „რანი ვიყავით გუშინ“ (მითითებული სახით);
15. დავით კლდიაშვილი - „დარისპანის გასაჭირი“;
16. მიხეილ ჯავახიშვილი - „მინის ყივილი“, „ემმაკის ქვა“;
17. ნიკო ლორთქიფანიძე - „საშობაო მინიატურები“, „ლიტერატურული საღამო“;
18. გალაკტიონ ტაბიძე - „მამული“, „რაც უფრო შორს ხარ“, „(გაგონდება თუ არა...), „მზეო თიბათვისა“, „წამყე ბეთანიისაკენ“, „შინდისის ჭადრებს“;
19. კონსტანტინე გამსახურდია - „დიდი იოსები“;

20. ტიცინან ტაბიძე - „რია-რია“;
21. პაოლო იაშვილი - „დარიანული“;
22. ვალერიან გაფრინდაშვილი - „სენტიმენტალური ტრიოლეტი“;
23. კოლაუ ნადირაძე - „25 თებერვალი“;
24. გიორგი ლეონიძე - „ნატურის ხე“: „მარიტა“;
25. ლადო ასათიანი - „სპარსელ ასულს“;
26. მირზა გელოვანი - „ნუ მწერ“;
27. სიმონ ჩიქოვანი - „თბილისის თოვლი“;
28. ირაკლი აბაშიძე - „ხმა კატამონთან“;
29. ანა კალანდაძე - „რა ვარ? სტვირი ვარ“, „მოდოდოდა ნინო მთე-ბით“, „ფეხი დამადგით“;
30. მურმან ლებანიძე - „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“;
31. რევაზ ინანიშვილი - „ჩიტების გამომზამთრებელი“, „პატარა ბიჭი გოლგოთაზე“;
32. არჩილ სულაკაური - „არ ვიცი, ამას რა ჰქვია“;
33. ნოდარ დუმბაძე - „კორიდა“;
34. მუხრან მაჭავარიანი - „საბა“;
35. შოთა ნიშნიანიძე - „ცოტნე დადიანი“;
36. თამაზ ჭილაძე - „ყინწვისი“;
37. ოთარ ჭილაძე - „როდესაც ასე ახლოა გრემი“;
38. ჭაბუა ამირეჯიბი - „დათა თუთაშხია“: მოსე ზამთარაძის ნაამ-ბობი;
39. რევაზ ჭეიშვილი - „მუსიკა ქარში“: „ლურჯი ფრინველი“;
40. ნუგზარ შატაიძე - „მოგზაურობა აფრიკაში“.

## სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

საბაზო საფეხურის (VII-IX კლასების) სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში 87 ერთეულია მითითებული. აღნიშნულია, რომ ეს სავალდებულო მასალა მთლიანი მასალის 60% უნდა შეადგენდეს. ამასთან მასალის კლასებში გადანაწილება სახელმძღვანელოს ავტორების პრეროგატივაა. აქედან გამომდინარე, ავტორთა კოლექტივმა საბაზო საფეხურისათვის მოცემული სავალდებულო ლიტერატურა თითოეული კლასის მიხედვით ასე გადაანაწილა:

1. VII კლასი: 29 სავალდებულო საპროგრამო ერთეული + 29 არა-

საპროგრამო (ავტორთა კოლექტივის მიერ შერჩეული) ერთეული, ე.ი. მთლიანად 58 ერთეული;

2. VIII კლასი: 24 საპროგრამო ერთეული + 18 არასაპროგრამო ერთეული, ე.ი. მთლიანად 42 ერთეული;
3. IX კლასი: 34 საპროგრამო ერთეული + 7 არასაპროგრამო ერთეული, ე.ი. მთლიანად 41 ერთეული.

როგორც ვხედავთ, არასაპროგრამო ერთეულთა რაოდენობა კლასების ზრდის მიხედვით მცირდება, ეს ავტორთა კოლექტივის შეგნებული არჩევანია. სასურველია, მოსწავლეებს დაბალ კლასებში მეტი თავისუფლება ჰქონდეთ. თუმცა მთლიანობაში, საფეხურის შიგნით თანაფარდობა საპროგრამო და არასაპროგრამო მასალას შორის დაცულია: არ გამოგვიტოვებია არც ერთი საპროგრამო ნაწარმოები და არ გადაგვიჭარბებია იმ ლიმიტისათვის, რომელიც ავტორთა კოლექტივს ჰქონდა მიცემული ნაწარმოებთა დამოუკიდებლად შესარჩევად; საფეხურის სამ კლასზე გადანაწილებული 141 ერთეულიდან 87 საპროგრამოა (სავალდებულოა) და 54 ავტორთა კოლექტივის მიერ დამატებული.

**სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან  
შინაარსისა და მიზნების რუკა**

პარაგრაფი	მიზანი	ტექსტი	ენობ- რივი მასალა	სასწავლო დროის ხან- გრძლივობა	ეროვნუ- ლი სასწავ- ლო გეგმის შესაბა- მისი შედე- გები
1.რა ვიცი ლიტერატურის შესახებ?	განვლილი მასა- ლის გამეორება (პროზაული და პოეტური ტექს- ტების არსებითი ნიშნების შესე- ნება); თვითშეფა- სების ტაბულის შეცება.	VII კლასში ნასწავლი თეო- რიული მასა- ლის შემცველი ტექსტები.	.....	1 აკადემიური საათი	VIII. 5,6.

2. მე ვარ ადამიანი	მხატვრული ნაწარმოების თემაზე მუშაობა; ნაწარმოებში ნამოჭრილი პრობლემის განალიზება; საკუთარი სათქმელის წერილობით გამოხატვა.	<b>ნიკო ლორთქიფანიძე — „დადიანის ასული და მათხოვარი“.</b>	ფერების აღმნიშვნელი ლექსიკა; ვით. ბრუნვის დაბოლოება.	4 აკადემიური საათი	VIII. 1,5,9, 10,11, 12,13.
3. რას ნიშნავს ადამიანად ყოფნა?	ერთი და იმავე თემაზე შექმნილი პოეტური ნაწარმოებების შედარება; ავტორთან წერილობით გასაუბრება.	<b>ვაჟა-ფშაველა — „რამ შემქმნა ადამიანად“; როდარ დუმბაძე — „კორიდა“.</b>	კუთხური ფორმები; სხვათა სიტყვის მართლწერა; საკუთარ სახელთა წოდებითი.	5 აკადემიური საათი	VIII. 1,5,9, 10,11, 12



<p>4. ბალადა ადამიანურ თა- ნაგრძობაზე — ანუ როგორ იქმნება ხალ- ხური სიტყვი- ერების ნიმუ- შები</p>	<p>ხალხური სიტ- ყვიერების ნიმუ- შის კითხვის სტრატეგიის გაც- ნობა; სამეცნიე- რო სტატისის ფრაგმენტის გაც- ნობა; საინფორ- მაციო ტექსტის შექმნა ნყაროებ- ზე დაყრდნობით.</p>	<p><b>„ლექსი ვეფხი- სა და მოყმისა“; გიორგი ჯაფა- რიძე — „ვეფხ- ვისა და მოყმის მითოსური სამ- ყარო“.</b></p>	<p>დიალექტური ლექსიკა; ძველებური მრავლობითი.</p>	<p>5 აკადემიური საათი</p>	<p>VIII. 1,5,9, 10,11, 12,13</p>
<p>5. პირისპირ</p>	<p>ნოველის მახა- სიათებლების გაცნობა; ნოვე- ლის ტიპის ტექ- სტის შექმნა.</p>	<p><b>რევაზ ინანიშვი- ლი — „ნიგნი“, „პატარა ბიჭი გოლგოთაზე“.</b></p>	<p>წინა ვითარე- ბის სახელები; სხვათა სიტყვა; ო ხმოვნის შემ- ცველი ფუძე- ბი.</p>	<p>5 აკადემიური საათი</p>	<p>VIII. 1,5,9, 10,11, 12,13</p>
<p>6. რატომ უნ- და ვიკითხოთ კლასიკოსები?</p>	<p>ესეს ტიპის ტექ- სტისა და დარ- წმუნების ტექნი- კის გაცნობა; დამარწმუნებელი ტექსტის შექმნა.</p>	<p><b>ჰენრი დევიდ თორო — „კით- ხვა“</b></p>	<p>მნიგნობრული ლექსიკა</p>	<p>2 აკადემიური საათი</p>	<p>VIII. 1,3,5, 6,10, 11,12, 13</p>

<p>7. კლასიკოსის პასუხი მარად თანამედროვე კითხვაზე</p>	<p>კლასიკურ თზუ-ლებაში დასმული პრობლემის დაკავშირება თანამედროვეობასთან; ლექსის კომპოზიციის სახეების გაცნობა. ესეს დაწერა.</p>	<p><b>ნიკოლოზ ბარათაშვილი</b> —  <b>„ფიქრნი მტკვრის პირას“</b>;  <b>ილია ჭავჭავაძე</b> —  <b>ნაწყვეტები პოემიდან „აჩრდილი“</b>;  <b>„ქართვლის დედას“</b>.</p>	<p>ზმნის დრო; პოეზია და არქაიზმები.</p>	<p>7 აკადემიური საათი</p>	<p>VIII 1,5,9,10,11,12,13</p>
<p>8. დიალოგი და მონოლოგი — ანუ რას ვიცობთ პერსონაჟთა მეტყველებიდან მათი ხასიათისა და ზრახვების შესახებ</p>	<p>დიალოგისა და მონოლოგის მხატვრული დანიშნულების გაცნობა; ზეპირი მეტყველების ტექნიკის დახვეწაზე მუშაობა (მკითხველის თეატრი).</p>	<p><b>დავით კლდიაშვილი</b> —  <b>„დარისპანის გასაჭირი“</b></p>	<p>ფრაზეოლოგიზმის შინაარსის გაცნობა („ჩაილოურის წყლის დაღევა“); ფუქიმონაცველი ზმნები.</p>	<p>8 აკადემიური საათი</p>	<p>VIII. 1,2,5,6,7,8,9,10,11,12,13</p>

<p>9. როგორ სწავლობდა მწერალი ადამიანის სიყვარულს</p>	<p>ავტობიოგრაფიული ნაწარმოების კითხვის სტრატეგიის გაცნობა; ბიოგრაფიული ნარკვევის დაწერა წყაროებზე დაყრდნობით.</p>	<p><b>დავით კლდიაშვილი — „ჩემი ცხოვრების გზაზე“</b></p>	<p>საკუთარი სახელები; ზმნის-წინთა არაძირითადი ფუნქციები; უცხო ენის გავლენა, კალკი.</p>	<p>6 აკადემიური საათი</p>	<p>VIII 1,5,9,10,11,12,13</p>
<p>10. ნაცნობი ადგილები</p>	<p>ერთ თემაზე შექმნილი ლექსების შედარება; ინტონაციის და ალუზიის ცნებების შემოტანა; ვარჯიში მხატვრულ კითხვაში; აღწერის ტიპის ტექსტის შექმნა.</p>	<p><b>მანანა ჩიტიშვილი — „ქართლი“; ანა კალანდაძე — „ლაჰილზე ისევ“; „შოთა ნიშნიანი“ — „აფხაზური კანტა“; არჩილ სულაკაური — „მამული“; სიმონ ჩიქოვანი — „თბილისის თოვლი“;</b></p>	<p>გეოგრაფიული სახელები; ზმნის დრო, სასვენი ნიშნების ხმარების წესები.</p>	<p>12 აკადემიური საათი</p>	<p>VIII 1,2,5,6,7,8,9,10,11,12,13,</p>

<p>11. ნაწერი რჩება უკუნი- სამდე</p>	<p>სამეცნიერო- ბოპულარული ტიქსტის კითხვის სტრატეგიის გაც- ნობა; საინფორმაციო ტიქსტის შექმნა წყაროს გამოყენებით.</p>	<p>ბურაბ ჭუმბუ- რიძე — „ქართუ- ლი ხელნაწერების კვლევა“.</p>	<p>ჩართულის ფუნქცია სამე- ცნიერო ტექსტ- ში; ხელნაწე- რებთან დაკავ- შირებული ლექსიკა; საკვანძო ფრაზა ტიქსტში.</p>	<p>7 აკადემიური საათი</p>	<p>VIII. 1,5,6,7, 8,9,10, 11,12, 13</p>
		<p>ბალკტიონ ტაბიძე — „წამყე ბეთანიისაკენ“, „შინდისის ჭადრებს“; ოთარ ჭილაძე — „როდესაც ასე ახლო გრემი“; თამაზ ჭილაძე — „ყინვისი“; მურმან ლებანიძე— „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“.</p>			

12. ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“	ტიქსტი არსებულ დეტალებზე დაკვირვება; ტიქსტისა და მასზე შექმნილი ილუსტრაციების შედარება; საკუთარი აზრის წერილობით გამოთქმა.	<b>შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (ნაწილები); ირაკლი აბაშიძე — „ხმა კატამონთან“.</b>	არქაული მრავლობითის ფორმები; სტატისტიკური ზმნა.	7 აკადემიური საათი	VIII 1,5,6,7,8,9,10,11,12,13
13. საიდან მოდის სილამაზე?	ლირიკულ გადახვევაზე დაკვირვება მოთხრობაში; აღწერის ტიპის ტიქსტის შექმნა.	<b>გიორგი ლეონიძე — „მარიტა“.</b>	რთულ სიტყვათა წარმოება მწერლის ენაში; ნა- თავ-სართით ნაწარმოები მიმღებები; პირის ნიშანთა მართლწერა.	8 აკადემიური საათი	VIII. 1,5,9,11,12,13
14. როგორ იქმნება მხატვრული ნაწარმოები	ნაწარმოების შექმნის, წერის პროცესის გაზრება; მხატვრული ნაწარმოების დაწერა წერის პროცესის ყველა ეტაპის დაცვით.	<b>მიხეილ ჯავახიშვილი — „ეშმაკის ქვა“</b>	შემარბიდან გასული სიტყვები; ბრუნვის ფორმა და კავშირის წინ.	10 აკადემიური საათი	VIII. 1,5,6,7,8,9,10,11,12,13

15. ლიტერატურული პარალელი	ორი ნაწარმოების შედარება-შეპირისპირება	ვაჟა-ფშაველა — „ამოდის, ნათდება“;	დილაქეტური ლექსიკა	2 აკადემიური საათი	VIII. 1,5,9, 11,12, 13
16. როგორ იქცა ნამდვილი ამბავი ნოველის სიუჟეტად	მხატვრული გამოწვანების ფუნქციაზე დაკვირვება; მოთხრობის შექმნა მოცემულ დიალოგებზე დაყრდნობით.	რევაზ ინანოშვილი — „ფრთხეობიან ყვავები დამბარის ხმაზე“? რეზო ჭეიშვილი — „ლურჯი ფრინველი“.	რთული სიტყვები; ზედსართავ სახელთა მხატვრული დანიშნულება; ნოდების გამომხატველი სახელის ბრუნება მსაზღვრელის სახით.	7 აკადემიური საათი	VIII. 1,5,7,9, 10,11, 12,13,
17. ილია და აკაკი პოეტის და პოეზიის დანიშნულებების შესახებ	ერთ თემაზე შექმნილი ნაწარმოებების შედარება; პუბლიცისტურ თხზულებებზე მუშაობა; ელემენტების განხილვა; ესეს დანერგვა მოცემულ თემაზე.	ილია ჭავჭავაძე — „პოეტი“, „ელგია“, „ჩემო კლამო“, აკაკი წერეთელი — „პოეტი“, „ხატის წინ“, ვაჟა-ფშაველა — „დამსეტყვე ცაო“, „ნიჭიერი მწერალი“.	ობიექტური პირის ნიშნით მართლწერა.	10 აკადემიური საათი	VIII. 1,5,6,7, 8,9,10, 13

18. სიბრძნის გაკვეთილები	სახარების იგავების გაცნობა; ალეგორიის ცნების შემოტანა; იგავის ტიპის ტექსტის შექმნა.	<b>სახარების იგავები: დამარხული ტალანტი და უძლევი ძის იგავი</b>	ძველი ქართული ენის ზოგიერთი თავისებურების გაცნობა; ტმეხი	8 აკადემიური საათი	VII. 1,5,9,10, 11,12,13
19. რაც მტრობას დაუნგრევია	იუმორისტული თხრობის ხერხების გაცნობა და გამოყენება.	<b>ნოდარ დუმბაძე — „ბოშები“.</b>	ურთიერთსაპი- რისპირო და- მოკიდებულების გამომხატველი ზმნები; მოქმელის და- მოკიდებულების გამომხატვა ტექსტში.	6-7 აკადემიური საათი	VII. 1,5,9,10, 11,12,13
20. ისტორიული მოთხრობა	დაკვირვება, თუ როგორ ერწყმის ერთმანეთს ნაწარმოებში ისტორიული სინამდვილე და მხატვრული გამონაგონი. დაფიქრება პრობ- ლემაზე: „ქერი და ისტორია“	<b>აკაკი წერეთელი — „ბაში-აჩუკი“; ილია ჭავჭავაძე — „ქერი და ისტორია“.</b>		20 აკადემიური საათი	VII. 1,5,6,7, 8,9,12, 13

აქვე შეგახსენებთ, რომ საათების განაწილებას პირობითი ხასიათი აქვს, ვინაიდან იმის მიხედვით, თუ რამდენი მოსწავლეა კლასში და როგორია მათი მომზადების დონე, მასწავლებელს ამა თუ იმ პარაგრაფის გასავლელად, შესაძლებელია, ჩვენს მიერ გამოყოფილზე უფრო მეტი ან ნაკლები დრო დასჭირდეს.

შესაძლებელია, ისიც მოგეჩვენოთ, რომ ზოგიერთი მოცულობით მცირე პარაგრაფისათვის ამდენი აკადემიური საათი საჭირო არ არის. აქუნდა გავითვალისწინოთ, რომ მიუხედავად შესასწავლი ტექსტების მცირე მოცულობისა, ამ პარაგრაფებში მოცემული დავალებები საკმაოდ მნიშვნელოვანია და მათი შესრულება დროს მოითხოვს. აქვე აღვნიშნავთ, რომ აუცილებელია 1 საათი გამოყოფილ იქნას საშინაო დავალებების კლასში წასაკითხად. ბუნებრივია, ერთ გაკვეთილზე ყველა მოსწავლის საშინაო დავალებას ვერ გავხდით განხილვის საგნად, მაგრამ რამდენიმე მათგანი მაინც უნდა განვიხილოთ და შევაფასოთ. ეს ამალღებს მოსწავლის მოტივაციას.

ზოგიერთი საშინაო დავალება, განსაკუთრებით ის, რომელიც გარკვეულ შემოქმედებით ძიებას მოითხოვს მოსწავლისაგან, მაგალითად, მხატვრული ნაწარმოების დაწერა, ბუნებრივია, შემდეგი გაკვეთილისათვის ვერ მოესწრება, ამიტომ მასწავლებელმა, მას შემდეგ, რაც განუმარტავს მოსწავლეებს, თუ როგორ უნდა შეასრულონ ეს დავალება, უნდა მისცეს მათ გარკვეული დრო (ვთქვათ ერთი ან ორი კვირა) და გააგრძელოს შემდეგ პარაგრაფზე მუშაობა.



## სასწავლო მასალის წარდგენის ფაზები და გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები

მეთოდულ კამპი ცნობილია სასწავლო მასალის წარდგენის შემდეგი ეტაპები ანუ ფაზები:

- ა. მოტივაცია;
- ბ. საკითხის დასმა, ამოცანის განსაზღვრა;
- გ. ძირითადი სასწავლო მასალის დამუშავება (ჩვენს შემთხვევაში ესაა ტექსტი);
- დ. ძირითადი სასწავლო მასალის გაცნობის შემდეგ (ან პარალელურად) შესასრულებელი სავარჯიშოები;
- ე. დამაგვირგვინებელ ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები;
- ვ. დამოუკიდებელი სამუშაო.

ჩვენ ვცდილობდით თითოეული პარაგრაფი სწორედ ამ პრინციპზე აგვეგო, რაც ნათლად ჩანს პარაგრაფის სტრუქტურიდან. პარაგრაფის მიზანი თავად სახელმძღვანელოშივეა წარმოდგენილი. მასწავლებელმა უნდა დაეყოს პარაგრაფი გაკვეთილის ხანგრძლივობის შესატყვის მონაკვეთებად და პარაგრაფის საერთო მიზნიდან გამომდინარე განსაზღვროს თითოეული კონკრეტული გაკვეთილის მიზანი და აქტივობები.

ქვემოთ გთავაზობთ გაკვეთილის დაგეგმვის ნიმუშს და სანიმუშო გაკვეთილის სცენარს

## გაკვეთილის სცენარი

### გაკვეთილის თემა:

აკაკი წერეთელი, „ბაში-აჩუკი“ (შემაჯამებელი გაკვეთილი)

### გაკვეთილის მიზანი

- მიღებული ცოდნის გამოყენების უნარის შემოწმება;
- ტექსტის წვდომა-გააზრების უნარის შემოწმება;
- ტექსტის ინტერპრეტაციის უნარის განვითარება;
- მსჯელობის უნარის განვითარება;
- წერის უნარ-ჩვევის განვითარება.

### აქტივობები

- მუშაობა ტექსტიდან საჭირო ინფორმაციის ამოკრებაზე;
- კითხვებზე ვრცელი და არგუმენტირებული პასუხების გაცემა;
- მომზადება წერითი დავალების შესასრულებლად.

### საჭირო რესურსები

სახელმძღვანელო

### შეფასების ფორმა

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე; მასწავლებლის დაკვირვება მუშაობის პროცესზე.

### გაკვეთილის მსვლელობა

- გაკვეთილის დასაწყისში კიდევ ერთხელ ყურადღება გამახვილდება შაჰნავაზის სასახლეში გამართულ თათბირზე (რამდენადაც მოთხრობის ძირითადი სათქმელი ამ თავშია მოცემული); შესაძლებელია, მასწავლებელმა დასვას კითხვები: რომელი გმირის სიტყვა უფრო მოეწონათ, რომელი იყო უფრო ამაღე-

ლევბელი, რატომ აირჩია სათქმელის გადმოსაცემად „ეზოპეს ენა“ მოხუცმა ელიზბარ ერისთავმა...

- კითხვარის დამუშავებამდე, სასურველია, მასწავლებელმა კლასს მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია „ქართლის ცხოვრებიდან“: „...ხოლო რა ესმა ესე (კახეთის გასაჭირი) ზაალ ერისთავსა, დიდად მწუხარე იქმნა. მაშინ შემოიფიცა ქსნის ერისთავი შალვა და ელიზბარ და კახი სუფრაჯი ბიძინა ჩოლოყაშვილი და შემოიფიცეს მთის კაცნი და თუშნი. ამათ გაატანა თანა ზურაბ, ძე თვისი, და წარვიდეს ღამესა ერთსა და დაესხნენ თავსა ბახტრიანს და ამონყვიტეს და მოსრეს ბახტრიანის ციხეში მდგომნი ელნი... სადაცა კახეთს თათარი და ელი ესახლა, ყოველივე ამონყვიტეს და არა სადა დაშთა, რომ ყოველივე არ მოკლეს. და რომელნიმე ივლტოდეს, წარვიდეს და განაძეს; კახეთში თათარნი აღარსად იპოებოდეს“. შემდეგ კლასი გადადის ამ თავების კითხვარის დამუშავებაზე.

## 20 ნუთი

- კითხვარის შემდეგ დამუშავდება „დამატებით ამოცანებში“ დასმული საკითხები;

## 15 ნუთი

- რადგან საშინაო წერით დავალებად სახელმძღვანელოში მოცემულია ესე — „კახეთის მხსნელი გმირები“ — სასურველია, ამ თემაზე მუშაობა კლასში დაიწყო: მასწავლებელი დასვამს კითხვებს: გაიხსენეთ, ვის ეკუთვნის ეს ფრაზა (გრ. ორბელიანი: „ნათელ გვირგვინით მოსჩანან კახეთის მხსნელი გმირები“)? ვის მოიაზრებთ „ბაში-აჩუკში“ მხსნელებად, ვინაა მათგან ისტორიული პერსონაჟი და ვინ — მწერლის ფანტაზიის ნაყოფი? რა ფუნქცია აქვს თითოეულ მათგანს ტექსტში? ქვეყნის როგორი მდგომარეობა განაპირობებდა ამ აჯანყების აუცილებლობას (გაიხსენეთ მე-5 თავი)... ასევე სასურველია მასწავლებელმა გაახსენოს მოწაფეებს, როგორი პატივი მიაგო შთამომავლობამ ამ გმირებს:

მაგალითად, ნაუკითხოს ანა კალანდაძის შემდეგი  
ლექსი:

### არც მათ იციან?

(იკორთაში)

საით არიან შალვა, ბიძინა  
და ელიზბარი?

საით კაშკაშებს მარად ძლიერი  
იმათი ხმალი?

მძიმედ იღება და იხურება საყდრის კარები —  
დარბაისლური სიჩუმით დუმან  
ერისთავები...

ქართველნო, ჩვენ ის სამი გმირი,  
ვის წინ თავს ვიხრით,  
სპარსეთისაკენ პირმიქცეულა

„ნონოლას“ ციხით:

ეჭვს ხომ არ იღებს, ცუდს ხომ არა გრძნობს  
ცბიერი შაჰი,

რომ... აჯანყების ცეცხლი მოიცავს ბოხოქარ  
კახეთს?

დაუმცხრალია და ამაყია

შურისძიება...

არც მოკაშკაშემ, არც მოკაშკაშემ

უცხოდ მთიებმა,

არც გაზაფხულის თეთრმა ღრუბლებმა,

ლურჯმა იებმა,

არც მათ იციან შვილიშვილთაგან

დასადაფნავი

შალვას, ბიძინას და ელიზბარის

წმინდა საფლავი?

ამგვარი მუშაობა მიმართულია მონაფეთა თემით დაინ-  
ტერესებისკენ და ერთგვარი „ბიძგის“ როლსაც შეასრულებს.

10 წუთი

## საშინაო დავალება

- დასაწერად ესე: „კახეთის მხსნელი გმირები“.

## შეფასების სისტემა, ფორმები, რეკომენდაციები

შეფასება სწავლა/სწავლების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. სასწავლო გეგმის მიხედვით დადგენილია ორი ტიპის შეფასება: **განმავითარებელი და განმსაზღვრელი.**

**განმავითარებელ შეფასებას** (რომელიც თავის თავში მოიცავს **თვითშეფასებასაც**) მასწავლებელი იყენებს სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოსწავლის განვითარების უზრუნველსაყოფად. ეს სწავლების პროცესის მიმდინარეობისას მიღწეულის შეფასებაა, მაგალითად, რაიმე თემის/ტექსტის შესწავლის პროცესი, საშინაო დავალების, პროექტის რომელიმე ეტაპის ან გაკვეთილზე ჩართულობის შეფასებაა. ამგვარი შეფასებისას მოსწავლე მასწავლებლისგან იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მას განვითარებასა და საკუთარი სწავლის გაცნობიერებაში ეხმარება, ამდენად, შეფასების ამგვარი ფორმა უფრო მეტად ურთიერთანამშრომლობითია, ვიდრე განმსაზღვრელი შეფასება, აქედან გამომდინარე, განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი ქულას არ წერს, იგი მონაფეს აძლევს რჩვას, რეკომენდაციას, უჩვენებს პრობლემათა გადაჭრის გზებს, დააფიქრებს საკუთარი აზროვნების პროცესზე და ა.შ.

**თვითშეფასება და ურთიერთშეფასება** მოსწავლეთა შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტია. მოსწავლეებმა შეიძლება შეაფასონ საკუთარი თავიცა და თანატოლიც. თვითშეფასება მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია მოსწავლეს თვალი ადევნოს

საკუთარ პროგრესს. შეფასების ამ ფორმის ხშირად გამოყენება მოსწავლეს საკუთარი ცოდნის ობიექტურ შეფასებას ასწავლის და დამოუკიდებლად სწავლისა და თვითკრიტიკის უნარს უვითარებს. იგი მეტად მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვისაც, რომელიც მეტ ინფორმაციას აგროვებს მოწაფეების შესახებ და უფრო მეტად შეუძლია დაეხმაროს მათ.

**განმსაზღვრელი შეფასება** კი მოსწავლეთა მიღწევებსა და დონეს განსაზღვრავს სასწავლო გეგმასა და სასწავლო მიზნებთან შესაბამისობაში. განმსაზღვრელი შეფასება შედეგზეა ორიენტირებული, ამდენად ქულის დანერგვა სავალდებულო მოთხოვნაა. განმსაზღვრელი შეფასებისას მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა შემაჯამებელ აქტივობებს: პრეზენტაციას, პროექტის განხილვას, ტესტს, საკონტროლო ნერას და ა.შ. განმსაზღვრელი შეფასება ქულის სახითაა მოცემული, რომელიც განსაზღვრავს მოწაფის დონეს, შესაბამისად, მას შეიძლება არ ახლდეს შედეგების გასაუმჯობესებლად კომენტარები ან რეკომენდაციები.

### **განმავითარებელი შეფასების მეთოდები**

**მასწავლებლის დაკვირვება** — ჩანანერები, კომენტარები მოსწავლის მიღწევების შესახებ. გამოიყენება სწავლების ყოველ ეტაპზე: კითხვებზე პასუხისას, დაფასთან მუშაობისას, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობისას, საკლასო წერისას...

**კომენტარი** — ინფორმაცია, რომელსაც მასწავლებელი მოსწავლეს აწვდის მისი კონკრეტული პასუხისა თუ კონკრეტული დავალების შესრულებისას. ეს შეიძლება იყოს: ქება, გამხნეება, რჩევა, დაფიქრებისკენ მოწოდება, შეცდომის გასწორება.

**თვითშეფასების** სხვადასხვა ფორმა არსებობს, ყვე-

ლაზე გავრცელებული თვითშეფასების სქემებია, რომელიც კონკრეტული საჭიროების მიხედვით იცვლება, იმის მიხედვით, თუ რას ვამონშებთ: ერთ თემას, ერთ გაკვეთილს, ერთ სავარჯიშოს, ფაქტობრივ მასალას, როგორ განუვითარდათ გარკვეული უნარ-ჩვევები, წერით ნამუშევარს და სხვ. ამგვარი სქემები სასურველია მოსწავლეებთან ერთად შემუშავდეს.

### **წერიტი ნამუშევრის თვითშეფასების ნიმუში:**

სახელი გვარი ----- თარიღი -----  
როდესაც გადავხედე ნამუშევარს, დავინახე, რომ

-----  
გავაუმჯობესე -----  
ვამაყოფ, რომ -----  
კვლავ მჭირდება განმტკიცება -----  
შემდგომ წერით დავალებაში შევეცდები, რომ

### **გაკვეთილზე საკუთარი საქმიანობისა და შინაგანი, პიროვნული პროცესების თვითშეფასების ნიმუში (პირობითი ნიშნების გამოყენებით)**

- ვპასუხობდი კითხვებს და ჩემს პასუხებს მიყავდით პრობლემის გადაწყვეტამდე (პირობითი ნიშანი მზე);
- ვამატებდი და ვავითარებდი სხვების პასუხებს, ვებმარებოდი გაკვეთილის „შენობის აგებაში“ (აგურები);
- ვპასუხობდი, მაგრამ როგორც მერე მივხვდი, არცთუ წარმატებულად, რადგან ან სხვის პასუხს ვიმეორებდი, ანდაც სწორ გზას ვცდებოდი. (ჩაშვებული ღუზა)
- ყველაფერი ვიცოდი და მესმოდა, მაგრამ პარტიზანვით ვღუმიდი (სანამ რამეს ვიტყოდი, სხვები მას-

წრებდნენ; ვშიშობდი, არასწორად არ მეპასუხა, დაე, სხვებმა იმუშაონ); (დაკეცილი კონვერტი).

- ვდუმდი, რადგან არ ვიცოდი რა მეთქვა, მაგრამ ყურადღებით ვუსმენდი სხვებს (მოცინარი კაცუნა, რომლის ყურებისკენ მიმართულია ისრები)
- მეძინა, ბუზებს ვითვლიდი, ვოცნებობდი (ნეტა რაზე?), ვფიქრობდი, ვინერდი საშინაო დავალებას (ღრუბლები).

ამგვარად, მოწაფე აფასებს საკუთარ აქტივობას, საკუთარ წვლილს გაკვეთილზე ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის საქმეში (მასწავლებელმა ყოველთვის არ იცის, რა დგას მონაფის დუმილს უკან, ამიტომაცაა მნიშვნელოვანი, რას აირჩევს მოსწავლე: „ვიცოდი და ვდუმდი“, თუ „არ ვიცოდი და ვდუმდი“. მასწავლებელი დროდადრო კრეფს თვითშეფასების ფურცლებს და აშიებზე აკეთებს საკუთარ შენიშვნებს (ძალიან კორექტული და არაკატეგორიული ტონით) მაშინაც, როცა მოსწავლე გადაჭარბებით აფასებს საკუთარ თავს და მაშინაც, როდესაც იგი დაბალ თვითშეფასებას ამჟღავნებს (ამგვარ თვითშეფასებაში არის რისკი იმისა, რომ მოწაფემ იეშმაკოს, არაადეკვატურად შეაფასოს საკუთარი თავი, მაგრამ ამგვარი რისკი მაინც გამართლებულია, რადგან ბევრი ბავშვისთვის იგი სტიმულია, რათა მიაღწიოს იმ სასურველ შედეგს, რომელიც ამ ეტაპისთვის მისთვის დაუძლეველი აღმოჩნდა).



**განმსაზღვრელი შეფასების მეთოდები  
შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა  
ზეპირმეტყველებაში**

დავალების ტიპი: არგუმენტირებული მსჯელობა კონკრეტული საკითხის შესახებ

	ქულები
<b>გამართული და სწორი მეტყველება</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>მეტყველებს გამართული სალიტერატურო ენით, იყენებს შესაფერის ლექსიკას</li> </ul>	0—1
<ul style="list-style-type: none"> <li>სწორად და გარკვევით წარმოთქვამს სიტყვებს, ადეკვატურად იყენებს ლოგიკურ პაუზებს</li> </ul>	0 — 0,5-1
<b>სათქმელის ნათლად და ლოგიკურად გადმოცემა</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>მსჯელობის დაწყებამდე აყალიბებს თეზისს (გამოკვეთს მსჯელობის თემას)</li> </ul>	0 — 1-2
<ul style="list-style-type: none"> <li>ამყარებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ტექსტში გამოკვეთილ მოვლენებსა და ფაქტებს შორის, მოჰყავს ტექსტიდან შესაბამისი არგუმენტები</li> </ul>	0 — 1-2-3
<b>კონტაქტი აუდიტორიასთან, თვალსაჩინოების გამოყენება</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>საკუთარ კომუნიკაციურ ქცევას უსადაგებს შესაბამის კონტექსტს</li> </ul>	0—1
<ul style="list-style-type: none"> <li>გააზრებულად იყენებს შესაბამის არავერბალურ საშუალებებს</li> </ul>	0—1
<b>შემოქმედებითი უნარები</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>აუდიტორიას სთავაზობს პრობლემის გადაჭრის საკუთარ ვერსიას</li> </ul>	0—1

## შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა გამომეტყველებით კითხვაში

დავალების ტიპი: ტექსტიდან დიალოგების მხატვრული კითხვა

	ქულები
<b>გამართული და სწორი მეტყველება</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• სწორად და გარკვევით წარმოთქვამს სიტყვებს</li> </ul>	0—2
<ul style="list-style-type: none"> <li>• ადეკვატურად იყენებს ლოგიკურ პაუზებს</li> </ul>	0 — 1-2-3
<b>ხმისა და ინტონაციის საშუალებით ზუსტად გადმოსცემს პერსონაჟის ხასიათს</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• კითხვისას ითვალისწინებს სასვენ ნიშნებს</li> <li>• ხმის სიმაღლითა და ჟღერადობით ზუსტად გადმოსცემს პერსონაჟის გრძნობებსა და სათქმელის შინაარსს</li> </ul>	0 — 1-2-3
<b>კონტაქტი აუდიტორიასთან</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• კითხვის პროცესში ცდილობს აუდიტორიასთან მხედველობითი კონტაქტის დამყარებას</li> </ul>	0 — 1-2

## შემაჯამებელი დავალების შეფასების სქემა წერაში

დავალების ტიპი: ტექსტის/ეპიზოდის შინაარსის გადმოცემა კომენტარებით

	ქულები
<b>სათქმელის ნათლად და ლოგიკურად გადმოცემა</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• შინაარსს გადმოსცემს ამომწურავად და თანმიმდევრულად</li> </ul>	0 — 1-2
<ul style="list-style-type: none"> <li>• ურთავს ადეკვატურ კომენტარებს</li> </ul>	0 — 1-2-3
<b>აქვს მდიდარი ლექსიკა</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• იყენებს სინონიმებს, ფრაზეოლოგიზმებს</li> </ul>	0—1
<ul style="list-style-type: none"> <li>• კომენტარებში იყენებს მსჯელობისთვის დამახასიათებელ სიტყვებსა და გამონათქვამებს (მაშასადამე, ამრიგად...)</li> </ul>	0—0,5- 1
<b>შემოქმედებითი უნარები</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• ამჩნევს და აანალიზებს მნიშვნელოვან დეტალებს</li> </ul>	0—1
<b>ნაშრომის ორგანიზებულობა</b>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• გამოყოფს აბზაცებს</li> </ul>	0—1
<ul style="list-style-type: none"> <li>• იცავს მართლწერის წესებს, სწორად იყენებს სასვენ ნიშნებს</li> </ul>	0 —0,5- 1

## საჭირო რესურსები

1. განვითარებისა და სწავლის თეორიები; თბილისი, 2008.
2. სწავლება და შეფასება; თბილისი, 2008.
3. სასწავლო და პროფესიული გარემო; თბილისი, 2008.
4. დიდი წიგნების ერთობლივი კითხვა; [http://www.tpd.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=8115&Itemid=71&lang=ka](http://www.tpd.ge/index.php?option=com_content&view=article&id=8115&Itemid=71&lang=ka)
5. განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის; 2007.
6. ტესტური დავალებების შექმნის ხელოვნება; 2009.
7. როგორ ვასწავლოთ აზროვნება; 2008.
8. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა; 2008.
9. რობერტ ჯ. მარზანო და სხვ., ეფექტური სწავლება სკოლაში; 2009.

## **ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები**

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლებამოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

- ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება;**
- ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა;**
- გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი;**
- დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება;**
- ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე;**
- ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი**

განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი  
მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე  
მის საზღვრებს გარეთაც;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე.



